ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 3-436032/07

"26" 01 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, დელისი III ქუჩის მიმდებარედ/ქ. თბილისში, ქუჩა დელისი-3, მიმდებარედ (საკ. კოდი №01.14.15.001.309) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური კომპლექსი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2046546 03.08.2015წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, დელისი III ქუჩის მიმდებარედ/ქ. თბილისში, ქუჩა დელისი-3, მიმდებარედ მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„3-1" ფასადზე: 0.00 ნიშნულზე 3-1 მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი. გაუქმებულია პანდუსი და საფეხური შეცვლილია რელიეფის დონე.. 3-3 ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია ლითონის მოაჯირი. 3-3 და 1-1 ღერძებზე 3.20 ნიშნულიდან ზემოთ 3-3 და 1-1 ღერძებზე შემცირებულია კედლის სისქე. გაუქმებულია ხის ფერი პლასტიკის ჟალუზები. 25.60 ნიშნულზე კაპიტალური მოაჯირის ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირი. 3-3 ღერძის გარეთ 3.20 ნიშნულიდან 25.60 ნიშნულამდე შევცლილია ღიობების ფორმა, გაბარიტები და გაუქმებულია ლითონის მოაჯირები. 28.80 ნიშნულზე 1-1 ღერძის გარეთ მოწყობილია ლითონის მოაჯირი და შემცირებულია ღიობების გაბარიტი.

„1-3" ფასადზე: -5.85 ნიშნულზე შეცვლილია კიბის კონფიგურაცია. 0.00 ნიშნულის ქვემოთ დამატებით მოწყობილია ღიობები და შესაღებია. 0.00 ნიშნულზე კაპიტალური მოაჯირის ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირი. 1-1 და 3-3 ღერძზე 0.00 ნიშნულიდან 25.60 ნიშნულამდე შემცირებულია კედლის სისქე. 25.60 ნიშნულზე 2-2 ღერძზე დამატებით მოწყობილია ტიხარი. კაპიტალური მოაჯირის ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირი.

„ზ-ა" ფასადზე: 0.00 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია კარი და ფანჯარა. დ-ა მონაკვეთში ლითონის მოაჯირის ნაცვლად მოწყობილია კედელი. ე-ე და ა-ა ღერძთან 25.60 ნიშნულზე კაპიტალურის ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირი. ა-ა მონაკვეთში გაუქმებულია ყრუ კედელი. ე-დ ბ-ა მონაკვეთში შეცვლილია გადახურვის დახრა.

„ა-ზ" ფასადზე: 0.00 ნიშნულზე ა-ა ღერძის გარეთ და დ-ზ მონაკვეთში კედლის ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირები. ბ-დ მონაკვეთში დასასრულებელია ფასადის ღებვა. ე-ე და ა-ა ღერძთან 25.60 ნიშნულზე კაპიტალურის ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირი. 28.40 ნიშნულის ქვემოთ ბ-ბ ღერძზე ქანობიანი მსუბუქი გადახურვის ნაცვლად მოწყობილია ფილა და 28.80 ნიშნულზე დამატებულია აივანი (4.2მ²).

გეგმების მიხედვით: -3.20 ნიშნულზე 4-4 ღერძზე გაუქმებულია მონოლითური კედლები. გაზრდილია სართულის სიმაღლე. დამატებით მოწყობილია დიაფრაგმები. ავტოფარეხში ჩასასვლელი კარი გ-გ ღერძის ნაცვლად მოწყობილია დ-დ ღერძზე. 0.00 ნიშნულზე 3-4 ლ-ბ მონაკვეთში შეცვლილია ფილის ფორმა და გაბარიტები. ხის ხარჯზეც შემცირებულია ფართი (დაახლოებით 37მ²). ნაწილობრივ შეცვლილია მონოლითური კედლების სისქე. ბ-გ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ფანჯრები. დ-გ მონაკვეთში 1-1 ღერძის გარეთ მოწყობილია ფილა და ლითონის მოაჯირი. 1-1 ღერძის გარეთ ა-ბ მონაკვეთში გაუქმებულია საფეხური.

25.60 ნიშნულზე ე-ე და ა-ა ღერძებზე დამატებულია კოლონები და გაზრდილია

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

გადახურვის სიგრძე.
28.80 ნიშნულზე გ-დ 2-3 მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ლითონის კიბე. შეცვლილია ფასადის მოპირკეთების ნახატი, მასალა და ფერი. დამატებით მოწყობილია გათბობის კარადები და სატელიტური ანტენები. შეცვლილია კოლონების რაოდენობა და გაბარიტები. ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების გაბარიტი. ბრტყელი გადახურვის ნაცვლად მოწყობილია თუნუქის გადახურვა და საკომუნიკაციო შახტები. დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილები. გეგმებზე არსებული ტიხრები არ არის ნაჩვენები 1-3 ფასადზე. შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა. კაპიტალური კედელი ცდება წითელ ხაზებს.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შ.პ.ს. „ინტერსტანდარტ ჯორჯია"-ს, ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, დელისი III ქუჩის მიმდებარედ/ქ. თბილისში, ქუჩა დელისი-3, მიმდებარედ (საკ. კოდი №01.14.15.001.309) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური კომპლექსი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №436032/07 09.12.2016წ. განცხადება.
№წ-436032/07 13.12.2016წ. ბრძანება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **17-01173612431**

თარიღი: **27.12.2017**

ადრესატი:
თენგიზ გოგინაშვილი
პირადი ნომერი: 59001012048
მისამართი: ჩირგაძის ქ.N3

ბატონო თენგიზ,

თქვენი N19/01173402827-17 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, დელისი III ქუჩის მიმდებარედ/ქ. თბილისში, ქუჩა დელისი-3, მიმდებარედ (საკ. კოდი N01.14.15.001.309) მრავალფუნქციური კომპლექსის გადამოწმებით დადგინდა, რომ Nბ-436032/07 ბრძანებაში მითითებული საკადასტრო საზღვრების დარღვევა გამოსწორებულია.

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური -
სამსახურის უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **17-01180601489**

თარიღი: **01.03.2018**

ადრესატი:
თენგიზ გოგინაშვილი
პირადი ნომერი: 59001012048
მისამართი: ჩირგაძის ქ.N3

ბატონო თენგიზ,

თქვენი N19/01180361608-17 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, დელისი III ქუჩის მიმდებარედ / ქ. თბილისი, ქუჩა დელისი-3, მიმდებარედ (საკ. კოდი №01.14.15.001.309) მდებარე ობიექტის (მრავალფუნქციური კომპლექსი) გადამოწმებით დადგინდა, რომ `1-3" ფასადზე: 0.00 ნიშნულის ქვემოთ დამატებით მოწყობილი ღიობები შეღებილია; `ა-ზ" ფასადზე: ბ-დ მონაკვეთში დასრულებელია ფასადის ღებვა. ასევე გაცნობებთ, რომ 1-1 ღერძის გარეთ ვიტრაჟზე დამატებით მოწყობილია გისოსები, ხოლო მის გვერდით დამატებით მოწყობილია მოაჯირი და ლითონის კონსტრუქცია გადახურვით; ,,1-3'' ფასადზე +9.60 ნიშნულზე 1-1 ღერძთან შეცვლილია მოაჯირის მასალა; დამატებით მოწყობილია კონდიციონერები.

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე)

გიორგი გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 19/01181283145-17

"07" 06 2018 წ.

თქვენი N19/01181283145-17 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი აზომვითი ნახაზები შეესაბამება ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, დელისი III ქუჩის მიმდებარედ /ქ. თბილისში, ქუჩა დელისი-3, მიმდებარედ (საკ. კოდი №01.14.15.001.309) მდებარე ობიექტზე (მრავალფუნქციური კომპლექსი) არსებულ მდგომარეობას.

დანართი: სამი ფურცელი,

პატივისცემით,

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე


ჭერის ±0.00 ნიშნულზე
S-01
S-02
S-02
S-01
1.830
1.560
1.250
0.860
1.920
0.990
1.408
2.220
2.290
+0.00

ჭრილი 1-1



ფასადი 1-1 ღერძზე

